ხელშეკრულება №-3/63

EVEX-UNK-TCH

სერტიფიცირებულ ექიმთა „ბავშვთა გადაუდებელ მედიცინაში“ გადამზადების შესახებ

ქ. თბილისი **18 ივლისი 2017 წ.**

SMP170001766

CPV79632000

მხარეები:

ერთი მხრივ, **,,თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა“** (შემდგომში _ ,,დამკვეთი”), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, **ლია ძიძიგურის** სახით

მეორე მხრივ, **შპს “უნიმედი კახეთი” – ბავშვთა ახალი კლინიკა** (შემდგომში _ ,,კლინიკა”), **,** წარმოდგენილი დირექტორის, შოთა დიდბარიძის სახით და

მესამე მხრივ, **სს “სამედიცინო კორპორაცია ევექსი”** (შემდგომში „ევექსი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მინდობილი პირის, მედეა ჩხაიძის სახით

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

გამომდინარე იქედან, რომ „კლინიკა“ წარმოადგენს ევექსის ქსელში/მართვაში შემავალ სამედიცინო დაწესებულებას (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს ქსელში შემავალ სამედიცინო დაწესებულებაში იგულისხმება: ნებისმიერი პროფილის სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მართავს (ახორციელებს მენეჯმენტს) სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“, ასევე მისი ფილიალები, ან მასთან დაკავშირებული სამედიცინო საქმიანობის მქონე სხვა იურიდიული პირები, რომლებშიც წილს ფლობს ან/და რომლებზეც ვრცელდება სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს გადაწყვეტილებები) ევექსი აცხადებს მზადყოფნას ითანამშრომლოს და მხარი დაუჭიროს ახალი, კვალიფიციური კადრების მომზადებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე ადასტურებენ, რომ ევექსი უფლებამოსილია, რაიმე სახის დამატებითი თანხმობის გარეშე გამოიყენოს კლინიკისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული ყველა უფლებამოსილება.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: კლინიკის მიერ, „ბავშვთა გადაუდებელ მედიცინაში გადამზადების სასწავლო პროგრამის“ ფარგლებში (შემდგომში „პროგრამა“), დამკვეთის მიერ წარმოდგენილი პირების

(რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია დანართი #1-ში, შემდგომში - „ექიმი სპეციალისტი“) პროფესიული გადამზადება (შემდგომში „სწავლება“ ან „გადამზადება“):

1.2. გადამზადების პროგრამის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, დამკვეთის მიერ წარმოდგენილ პირებს ჩაუტარდებათ გადამზადების კურსი.

მუხლი 2. სასწავლო პროგრამის გავლის წესი

2.1. ექიმი სპეციალისტის მიერ შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის პროცესს ადგილზე უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო საერთო ზედამხედველობასა და ხელმძღვანელობას უწევს კლინიკა.

მუხლი 3. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

3.1. კლინიკა ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ექიმ სპეციალისტთა პროფესიული მოზადება პროგრამის შესაბამისად. აღნიშნული მიზნით შექმნას სათანადო პირობები (ყველა საჭირო პირობა კვალიფიციური მომსახურების გასაწევად, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება: შესაბამისად მოწყობილ ოთახს, გათბობას, განათებას, ასევე საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ტექნიკურ საშუალებებს, რაც სწავლების სპეციფიკასთან არის დაკავშირებული) და დაიცვას კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შესაბამისი აკრედიტაციის/კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების მეშვეობით;

გ) აუნაზღაუროს ექიმ სპეციალისტს გაცდენილი მეცადინეობა, თუკი ეს უკანასკნელი მისი მიზეზით მოხდა;

დ) კურსის ნებისმიერი დონის დამთავრებისას, საჭიროების შემთხვევაში, ჩაუტაროს ექიმ სპეციალისტს საგამოცდო ტესტირება შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად;

ე) თეორიულ მეცადინეობასთან ერთად უზრუნველყოს ექიმი სპეციალისტი პრაქტიკული სწავლებითაც, დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად;

ვ) აცნობოს დამკვეთს ექიმ სპეციალისტის შეფასების შედეგები თითოეული მოდულის/როტაციის დასრულების შემდეგ, მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

ზ) დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს შესაბამის ექიმ სპეციალისტზე დახასიათება-რეკომენდაცია.

3.2. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია კლინიკის წინაშე (მისი ქმედებები, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, განეკუთვნება კლინიკის უფლება-მოვალეობების სფეროს).

3.3. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი საბუთების (შემაჯამებელი შეფასების უწყისი, შესრულებული სამუშაოს ანგარიში ან/და წარდგინება-რეკომენდაცია) საფუძველზე კლინიკა ექიმ სპეციალისტზე გასცემს შესაბამის მოწმობას, ხოლო შესაბამისი პროგრამის არასათანადოდ გავლის ან

ტესტირებისას არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, კლინიკა გასცემს ცნობას პროგრამის მოსმენის თაობაზე და აძლევს უფლებას გაიაროს განმეორებითი ტესტირება.

3.4. დამკვეთი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს შესაბამისი საფასური კლინიკას, წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით.

ბ) უზრუნველყოს, რომ ექიმ სპეციალისტთა მხრიდან სრულად, ხარისხიანად და დადგენილი მოთხოვნების დაცვით განხორციელდეს სწავლის პროცესი დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს, რომ ექიმი სპეციალისტები დაემორჩილონ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის კლინიკის და მთლიანად ევექსის შინაგანაწესს;

დ) დამკვეთის მიერ კლინიკაში გადამზადებლად წარმოდგენილი პირ(ებ)ის - ექიმი სპეციალისტ(ებ)ის მიერ კლინიკისთვის რაიმე სახის ზიანის მიყენების შემთხვევაში, კლინიკის წინაშე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს.

მუხლი 4. ანაზღაურების პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების - პროფესიული გადამზადების ღირებულება , თითოეულ ექიმ-სპეციალისტზე შეადგენს 2448.40 (ორიათას ოთხას ორმოცდარვა ლარი და 40 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4.2. სწავლების/გადამზადების სრული საფასურის გადახდა დამკვეთის მიერ ხორციელდება სწავლების განმავლობაში ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა, შემდეგი გრაფიკით **(თითოეული სპეციალისტისთვის)**:

თვე	**თანხა**
ივლისი	248.4
აგვისტო	550
სექტემბერი	550
ოქტომბერი	550
ნოემბერი	550
	ჯამი: 2448.40

4.3. დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში კლინიკა უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია გადაიხადოს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს სასწავლო კურსის დაწყების თარიღისა. იმ შემთხვევაში თუ კურსის დაწყების დღისთვის თანხა არ იქნება სრულად ანაზღაურებული, კლინიკა უფლებამოსილია არ დაუშვას კურსზე ექიმი-სპეციალისტი, რომლის გადამზადების თანხაც არაა გადახდილი,

4.4. დამკვეთმა თანხის სრულად ან შესაბამისი ექიმი სპეციალისტის ნაწილში დაბრუნების მიზნით, გადამზადების დაწყებაზე უარი უნდა განაცხადოს, გადამზადების დაწყებამდე 2 (ორი) სამუშო დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დამკვეთს დაუბრუნდება ექიმი სპეციალისტის გადამზადებისათვის გამოუყენებელი თანხა, მაგრამ პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება პროგრამის (მოდულის) დასრულების ყოველ დარჩენილ თვეზე ხარჯთაღრიცხვით გაანგარიშებული თანხის 10%. გადამზადების დაწყების შემდეგ დამკვეთს გადახდილი თანხა უკან აღარ დაუბრუნდება.

4.5. იმ შემთხვევაში თუკი შესაბამისი სახელწმიფო ორგანოების მიერ მოხდება კლინიკისთვის აკრედიტაციის გაუქმება/შეჩერება ან/და სხვა ნებისმიერი ქმედება/შემთხვევა, რომელიც კლინიკისგან დამოუკიდებელი მიზეზით მოხდება და რაც ხელს შეუშლის ან შეუძლებელს გახდის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევას ან მის შემდგომ გაგრძელებას, კლინიკა დაუბრუნებს დამკვეთს მის მიერ გადახდილ სწავლების თანხის ნახევარს.

4.6. საგადასახადო ვალდებულებებს მხარეები ასრულებენ შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

5.1. კლინიკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების კურსის სრულ დასრულებამდე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია კლინიკის ბრალით, იგი ვალდებულია დაუბრუნოს დამკვეთს ამ უკანასკნელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე კლინიკისთვის გადახდილი თანხა.

5.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 20 თებერვალი. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მას კლინიკისთვის გადახდილი გადამზადების ღირებულება უკან არ დაუბრუნდება.

მუხლი 6. ფორს–მაჟორი

6.1. ხელშეკრულების მოქმედება ჩერდება და არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეულია მხარეთათვის დაუძლეველი გარემოებებით (ფორს-მაჟორი), რის თაობაზეც მხარემ, რომელსაც წარმოეშვა ეს გარემოებები, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

6.2. ფორს-მაჟორულია ისეთი სიტუაცია, როდესაც დადგება მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან (ნებისაგან) დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა ბრალეულ ქმედებებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, კარანტინი, სამთავრობო (სახელმწიფო) გადაწყვეტილებები და სხვა (ფორს-მაჟორი).

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში გრძელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ მხარეთა შორის არ მიიღწევა სხვაგვარი შეთანხმება.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლოს წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით ანუ იმ წესითაც, რა წესითაც გაფორმდა წინამდებარე ხელშეკრულება.

8.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად თითოეული მხარისთის.

8.3. ურთიერთობები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

„კლინიკა“	„დამკვეთი“	„ევექსი“
შპს "უნიმედი კახეთი" – ბავშვთა ახალი კლინიკა ფაქტ. მის: თბილისი, ლუბლიანას ქუჩა #21 ს/კ 404865981 საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE51BG0000000263991600 შოთა დიდბარიძე დირექტორი _____	,,თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა“ ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ლუბლიანას 21 ს/კ 211328703 ლია ძიძიგური გენერალური დირექტორი _____	**სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“** მის: თბილისი, ვ/ფშაველას გამზ. #40 ს/კ 404476205 მედეა ჩხაიძე გენერალური დირექტორის მინდობილი პირი _____

დანართი #1

2017 წლის 18 ივნისის №ჟ-3/63 ხელშეკრულებასთან.

სერტიფიცირებულ ექიმ სპეციალისტთა „ბავშვთა გადაუდებელ მედიცინაში“ გადამზადების შესახებ

ექიმ სპეციალისთა ჩამონათვალი, რომელთაც უნდა გაიარონ „ბავშვთა გადაუდებელ მედიცინაში“ გადამზადების პროგრამის კურსი:

#	ექიმი სპეციალისტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ხელმოწერა
1	ფიქრია ჟვანია	#42001040549	
2	ნინო სანოძე	#55001001553	

დამკვეთი — კლინიკა — ევექსი